

# **ლადო პაპავა:**

## **“სუბსიდია რომ მქონდეს, თსუ-ში იქნება**

### **17-18 ათასი სტუდენტი და არა 22 000”**

გაზეთი “რეზონანსი” – 22 იანვარი, № 015, 2014 წელი

“შე რომ დაგიწყო იმის დალაგება ვინ “წითელია” და ვინ – “თეთრი”, ამით მე არაფრით არ ვიქნები განსხვავებული მაუზერიანი კომისრისგან... სულ არ მაინტერესებს, პოლიტიკურად ვინ ვისი გულშემატყიფარია”, – აცხადებს “რეზონანსთან” ინტერვიუში ივანე ჯაგახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა.

“რეზონანსი”: 2014 წლიდან ბევრი პროფესორი, ასევე – სტუდენტობაც მოელოდა იმას, რომ უნივერსიტეტში არსებული სიტუაცია რადიკალურად შეიცვლებოდა. კერძოდ, გულისხმობის იმას, რომ “კანონი უმაღლესი განათლების შესახებ” უნდა შეცვლილიყო და შეცვლილი კანონის ძალით შეცვლილიყო ძირითადი მმართველი რგოლი უნივერსიტეტში, რომელზეც ხშირად ამბობენ, რომ “თსუ-ს ისევ ნაციონალური გუნდი მართავს, რადგან რექტორს არსებული კანონის გამო არ ძალუბს აკადემიურ თანამდებობზე ვადამდებლი არჩევნების ჩატარება, არსებული სიტუაციის შეცვლა” და ა.შ.

რა შეიცვლება თსუ-ში, როგორ გადაწყდება ინ პროფესურის საკითხი, რომელიც 2006 წლიდან დღემდე უნივერსიტეტს გარეთ აღმოჩნდა და რა პრობლემებია დღეს უნივერსიტეტში – სწორედ ამ და კიდევ სხვა საკითხების შესახებ თსუ-ს რექტორს ვესაუბრეთ.

**ლადო პაპავა:** რა სიტუაციაც არის ქვეყანაში, ის სიტუაციაა უნივერსიტეტშიც, რაც სრულიად ბუნებრივია. თავიდანვე, როცა არჩევნებში ვმონაწილეობდი ვაცხადებდი, და ზოგადადაც, ჩემი პრინციპია კანონის სრული დაცვა. შეიძლება ადამიანს რაღაცა შეგეძალოს და კანონი უნებლიერ დაარღვიო, მაგრამ აპრიორი - კანონის შეგნებულად

დარღვევა ჩემგან გამორიცხულია. საუბარი ახალ კანონპროექტზე რომ მიდის – ეს მე დიდი ხანია მსმენია, თუმცა რეალურად პროექტი არ მინახავს.

**“რ”: ეს პროექტი საერთოდ არსებობს კი?**

**ლ.პ:** არ ვიცი, მე არ მინახავს. ყოველ შემთხვევაში, ჩემამდე, როგორც უნივერსიტეტის რექტორამდე, ასეთი დოკუმენტი არ მოსულა. შეიძლება სადღაც გულუარულად ვიდაცა რადაზე მუშაობს, მაგრამ გულწრფელად რომ გითხვათ, მე არც ასეთი ადამიანები შემხვედრია, რომელთაც მსგავსი დოკუმენტი უნახავთ და წაუკითხავთ.

რაც შეეხება იმას, რომ “ნაციონალები მართავენ უნივერსიტეტს”. ეს, ჩემი აზრით სამართლიანი არ არის. ჩემს თავს “ნაციონალად” არ აღვიძებამ.

**“რ”: თქვენზე არც ამბობენ; ეს ნათქვამია აკადემიურ თანამდებობებზე მყოფ ზოგიერთ პირზე...**

**ლ.პ:** ამასთან მიმართებაში მინდა აღვნიშნო, რომ გასულ კვირას უნივერსიტეტმა მიიღო სერიოზული გადაწყვეტილება, რითაც მეცნიერთა დაფინანსებასთან დაკავშირებით საჯარო განცხადება გააკეთა. ეს განცხადება არ გაუკეთებია მხოლოდ რექტორს; ეს განცხადება გააკეთა აკადემიურმა საბჭომ; აკადემიურმა საბჭომ ერთხმად მიიღო ეს განცხადება. მარტო აკადემიური საბჭოთიც არ შემოვიფარგლეთ; ეს განცხადება – მეცნიერების ბაზური დაფინანსების შენარჩუნებასთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, გავიტანეთ წარმომადგენლობით საბჭოში, რომელმაც ასევე ერთხმად მოგვცა რეკომენდაცია.

მოგეხსენებათ, ბაზური დაფინანსება უნივერსიტეტებს წაართვეს “ნაციონალებმა”; ასევე – სამეცნიერო ინსტიტუტებსაც უპირებდნენ მის წართმევას “ნაციონალები”. რექტორი, აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო, რომლებიც ერთხმად უჭერენ მხარს იმას, რომ ინსტიტუტებს არ მოეხსნას ბაზური დაფინანსება, ეს “ნაციონალური მმართველობაა”? საერთოდ კი ასე მარტივი არ არის ადამაინგბის დაყოფა “თეორებად” და “წითლებად”.

**“რ”: როგორ ფიქრობთ, რატომ აქეთებენ ასეთ განცხადებას? რატომ ფიქრობენ, რომ უნივერსიტეტს ისევ ძველი გუნდი მართავს და რატომ ითხოვენ, რომ სამართლიანობის აღდგენისთვის თავიდან უნდა ჩატარდეს გადამდებლი არჩევნები?**

**ლ.პ:** ვადამდებლი არჩევნები თავიდან რომ ჩატარდეს, ამას სჭირდება კანონი. აქ კიდევ ერთი ასეთი საკითხია: არიან ის ადამიანები, რომლებიც უნივერსიტეტებიდან

უსამართლოდ გაუშვეს 2005-2006 წლებში; და, ასევე, არიან ადამიანებიც, რომლებიც კონკურსის წესით მიიღო უნივერსიტეტმა 2012 წელს. სამართლიანობის კრიტერუმი არის თანასწორობა კანონთან მიმართებაში. მე ნამდვილად მოხარული ვიქნები, თუ შეიქმნება იმის მექანიზმი, რომ 2006 წელს დაზარალებულ ადამიანებს გარკვეული მორალური და ფინანსური კომპენსაციაც მიეცეთ იმასთან დაკავშირებით, რაც მათ განიცადეს. ამას კი უნივერსიტეტი თავისი ძალებით ვერ გააკეთებს.

ყველაზე მთავრი, რაც მე მინდა გავხადო საჯარო – უნივერსიტეტს არ აქვს ბიუჯეტიდან უშუალო დაფინანსება. უნივერსიტეტის ბიუჯეტი არის 70 მილიონი. უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნივერსიტეტი ფულს არ იღებს. ფული აქ მოაქვს სტუდენტს ან გრანტის სახით, ან სახლიდან. ანუ უშუალოდ ბაზური დაფინანსება, რომელიც სტუდენტის მოტანილ ფულთან კავშირში არ იქნება, უნივერსიტეტს არ გააჩნია.

უნივერსიტეტს სტუდენტების მიღების ზედა ზღვარად დაწესებული აქვს 22 000-მდე. განსაზღვრულია იმ სტანდარტებით, რაც მიღებულია: აუდიტორიული სივრცით, კომპიუტერული ტექნიკით, საბიბლიოთებო რესურსითით და ა.შ. ანუ მაქსიმუმზე ვართ გასული. ნებისმიერი სტუდენტის გარიცხვა ჩვენთვის არის ფულის დაკარგვა, მატერიალური ზარალი. მე რომ მქონდეს სუბსიდია სულ ცოტა 20 მილიონი ლარი, რომელიც არ იქნება სტუდენტებს მობმული, გაძლევთ პირობას, რომ უნივერსიტეტში იქნება 17-18 000 სტუდენტი, და არა – 22 000. ეს მე სწავლის ხარხისსაც გამიუმჯობესებს, მაჩანჩალა სტუდენტებსაც გამაყრევინებს და მათზე ადარ ვიქნები დამოკიდებული. 20 მილიონი ლარი კი ძალიან მცირე, მინიმუმი თანხა დავასახელვა.

**“რ”: მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტები გახდნენ სსიპები, თითქოს დაფინანსების პოლიტიკა უნდა შეცვლილიყო, უფრო სწორად, გაუმჯობესებულიყო. არა?**

**ლ.პ:** სსიპ-ი არ ნიშავს იმას, რომ დაფინანსების პოლიტიკა შეიცვალოს და არც იმას, რომ ამით სამართლიანობა ადვადგინოთ. ნებისმიერი ნაბიჯი უნდა გადაიდგას მოცემული კანონიდან გამომდინარე; ნებისმიერ ნაბიჯს ასევე უნდა ჰქონდეს ფინანსური უზრუნველყოფა. საკანონმდებლო სივრცე ზუსტად იგივე დარჩა; უნივერსიტეტს თავისუფალი ფული არ აქვს. სტუდენტის მოტანილი 2 250 ლარიდან ყველაფრის დაფინანსება უნდა მოხდეს. დღიდან, რაც რექტორი გავხდი, რექტორს გაუუქმდა ხელფასის დანამატი და გაუუქმდა გარანტირებული პრემია. დარჩა მხოლოდ სარგო. ჩვენი მწირი ფინანსური რესურსებით ამას ვერ გავაკეთებთ. უფრო მეტიც, ჩემი გადაწყვეტილებით სახელფასო დანამატები ადმინისტრაციაზე და ასევე პრემიები 2014

წლიდან იქნება შეჩერებული. საპრემიო ფონდს კი არ ვაუქმებ, არამედ პრემია უნდა იყოს მხოლოდ იმისათვის, რისთვისაც იმსახურებს ადამიანი, და არა როგორც გარანტირებული შემოსავალი. ამიტომ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმას, თანხები როგორ გამოვიყენოთ ლაპონიურად და მომჭირნედ. ყველაფერი, რასაც შეგმქნით, მიბმული იქნება ამ მცირე რესურსებზე, რაც გვაქვს. დამატებითი, თავისუფალი რესურსი, სადღაც რომ გადავისროლო, არ მაქვს.

საერთოდ კი ჩემი დამოკიდებულება საეთო ჯამში არის ასეთი - მე რომ დავიწყო იმის დალაგება, ვინ “წითელია და ვინ – “თეთრი”, ამით მე არაფრით არ ვიქნები გამორჩეული მაუზერიანი კომისრისგან. ჩემს ინტერესში ეს საერთოდ არ ზის; სულ არ მაინტერესებს პოლიტიკურად ვინ ვისი გულშემატყივარია. აქ ყველას თავისი საქმე აქვს. ვინც თავის საქმეს აკეთებს კარგად, ის აგრძელებს მუშაობას. ადმინისტრაციული და აკადემიური მოდერნიზაციისათვის ჩვენ აუცილებლად გამოვაცხადებთ კონკურსებს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე და ამით მოვახდნეთ ხალხის შერჩევას. ჩემთვის ერთადერთი კრიტერიუმი არის არა პოლიტიკური გემოვნება, არამედ საქმისადმი კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი.

**“რ”:** საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარებ ივანე კილურაძემ ამას წინათ ჩვენთან საუბარში აღნიშა, რომ უნივერსიტეტებში ადამიანების დაყოფა პოლიტიკური ნიშით არ უნდა მოხდეს. თუმცა მან ისიც თქვა, რომ კარგი იქნება, თუკი უნივერსიტეტების მესვეურები გამოაცხადებენ კონკურსებს აკადემიურ თანამდებობზე იმ პირებისთვის, რომლებიც გარდებული წლების განმავლობაში დაიჩაგრძენ და უნივერსიტეტების გარეთ აღმოჩნდნენ.

**ლ.პ:** ამის რესურსი შეზღუდულია. ისე, კონკურსები კი ამჟამადაც მიმდინარობებს.

**“რ”:** აკადემიურ თანამდებობებზე?

**ლ.პ:** რა თქმა უნდა. თუმცა არ არის ისეთი მასშტაბური, როგორიც მაგალითად იყო 2012 წელს. ან ზოგიერთი პროფესორი გარდაიცვლება, ან ხდება ისე, რომ დამატებითი სტუდენტები შემოდიან და საათები ჩნდება... რექტორმა როგორ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ვაკანსია, მაგალითად, ქიმიის მიმართულებაში გამოცხადდეს, ან მაგალითად – აღმოსავლეთმცოდნეობაში?! ეს უნდა მოდიოდეს ფაკულტეტებიდან და მოდის კიდევ და როცა მოდის, მე არასდროს არც ერთი შემიზღუდავს. ყოველთვის ვეკითხები, რა რესურსებია, რა საათებია და რამდენად დასაბუთებული. რამდენიმე კონკურსი ახლაც გვაქვს გამოცხადებული. რამდენადაც

მახსოვეს, ამჟამად 6-დან 4 ფაქულტეტზე კონკურსები მიმდინარეობს. მასშტაბური კონკურსები ახლავე გეტყვით, როდის უწვეს: 2012 წელს ვინ ასოცირებულ პროფესორად აირჩიეს, ეს ვაკანსია გაჩნდება 2016-ში; ვინც აირჩიეს პროფესორად, ადრე რასაც ერქვათ სრული პროფესორები, ისინი 6 წლის ვადით არიან არჩეულნი. ეს ვაკანსიები გაჩნდება 2018-ში. კანონით ასეა განსაზღვრული. თუ საათები დამატებით ჩნდება, ვაცხადებთ კონკურსს.

**“რ”: ანუ ამ ადამიანების საკითხი კითხვის ნიშის ქვეშ დგას?**

**ლ.პ:** ამ ადამიანების საკითხს ვერ გადაწყვეტს უნივერსიტეტი; ეს უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფომ. მე თავისუფალი ფული არ მაქვს. აქ შეიძლება 2 გზა მოიძებნოს: სახელმწიფომ დაუშვას კომპენსაცია, სტიპენდია; ან შესაძლებელია სახელმწიფომ ფული მისცეს უნივერსიტეტებს და უნივერსიტეტმა გადაიუხადოს უსამართლოდ გაშვებულ პროფესორს. სხვანაირად, სტუდენტის მიერ მოტანილი 2 250 ლარიდან ამას ფიზიკურად ვერ გავაკეთებ. აქ მიღიონი პრობლემაა. მაგალითად, სტუდენტებს სჭირდებათ ლიტერატურით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკა, რაც ლოგიკურია. ყველა წიგნის შესყიდვა ფიზიკურად შეუძლებელია. არის წიგნები, რომლებიც ადრე, წლების წინ არის გამოსული. სტუდენტს რომ მიაწოდო, უნდა მოხდეს ამ წიგნების სკანირება. წარმოიდგინეთ, ჩვეულებრივი მექანიკური სკანირებით რამდენ დროს წაიღებს და რამდენ თანხას მოითხოვს! მოვიძიეთ რობოტო-სკანერი, როგორიც 300 000 ლარამდე ღირს და სადღაც ერთ საათში 1000-1500 გვერდიანი წიგნის სკანირებას ახერხებს. მთელი შემოდგომა კერძო კომერციულ სტრუქტურებთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით, რომ უნივერსიტეტებისთვის საჩუქრად ეყიდათ. იყო დაპირებები, მაგრამ ყველამ “გადაგვაგდო”. შემდეგ გაჩნდა გარკვეული თანხა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან. მაგრამ ის თანხაც შეიკვეცა. სხვა გზა აღარ დაგვჩა. ისევ უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან უნდა ვიყიდოთ. ტენდერი უნდა გამოვაცხადოთ, რათა მარტში მაინც შევიძიოთ.

**“რ”: მაგრამ რატომ ამბობს ბატონიო კილურაძე, რომ ყველა უნივერსიტეტს აქვს იმის რესურსი, რომ დამატებითი კონკურსი გამოაცხადოს?**

**ლ.პ:** უნივერსიტეტმა მიმართა სახელმწიფო უდიტის სამსახურს თხოვნით, რომ გეგმიური აუდიტი ჩატარდეს 2014 წელს. ასე რომ, ჩვენ გვინდა ვიყოთ გამჭვირვალე ორგანიზაცია. ის ვაკანსიები, რომლებიც დღეს უნივერსიტეტში არის, დიად ცხადდება. მაგრამ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ – ეს ვაკანსიები არის ფაქულტეტებზე. ანუ ინიციატივა უნდა მოდიოდეს დეკანიდან, მიმართულების ხელმძღვანელისგან, კათედრის

გამგისგან... მე არც ერთი ასეთი ინიციატივა არ დამიბლოკავს. პირიქით, უოველთვის ვცდილობ, რაც შეიძლება სამართლიანად შედგეს საკონკურსო კომისიები და ნაკლებად იყოს კონფლიქტური სიტუაცია.

რესურსებთან დაკავშირებით კიდევ ერთ საფრთხეს გეტყვით: 7 000 სტუდენტია ისეთი, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ სხვადასხვა მიზეზის (ფინანსური, ოჯახური...) გამო; მათ რომ მოითხოვონ სტატუსის აღდგენა, რის უფლებასაც კანონი აძლევს, მაშინ უნივერსიტეტი უნდა დაიხუროს. სად განვათავს ის 7 000 სტუდენტი მაშინ, როცა მეტი სივრცე არ მაქვს? თუნდაც 1000-მა რომ მოითხოვოს, სად ვასწავლო იმ 1000-ს? მე რომ მქონდეს ბაზური დაფინანსება, ნამდვილად არ მოვიკლავდი თავს იმისათვის, რომ 22 000 სტუდენტი მყავდეს.

**“რ”:** პარასკევებს მეცნიერებათა აკადემიაში საქმაოდ მკვეთრად დაისვა კვლევითი ინსტიტუტების დაფინანსების საკითხი. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ ამის თაობაზე?

**ლ.პ:** უნივერსიტეტმა ამის შესახებ თავისი პოზიცია უკვე დააფიქსირა და მოხარული ვართ, რომ მეცნიერებათა აკადემიის პოზიციასთან თანხვედრაშია.

**“რ”:** ამასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიციაც უძველენიდან, რომ დაფინანსების სისტემა არ შეიცვლება.

**ლ.პ:** ეს ნიშნავს, რომ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისთვის საბაზო დაფინანსება არ გაუქმდება. საუბარი კი იყო გაუქმებაზე. უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ უნივერსიტეტებს ბაზური დაფინანსება უკვე აღარ აქვთ; ახლა საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ბაზური დაფინანსება გაუქმებოდათ ინსტიტუტებსაც. ეს იმედია შენარჩუნდება. ასეთ შემთხვევაში კი დაფინანსების გაზრდის მექანიზმი უკვე არის პროგრამული დაფინანსება. რეალურად რომ შევხედოთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, ყველამ ვიციოთ, თუ რა პრობლემები აქვს ბიუჯეტს. უნდა ვიყოთ ოპტიმისტურად განწყობილი რეალისტები.

**“რ”:** სამეცნიერო ინსტიტუტები ადრე მეცნიერებათა აკადემიას ეძულებოდნენ. ახლა ძირითადად უნივერსიტეტების შემაღებელობაში არიან. როგორ ფიქრობთ, უნდა დაუბრუნდნენ ისევ მეცნიერებათა აკადემიას?

**ლ.პ:** ეს უნდა გადაწყვიტონ თვითონ მეცნიერებმა. სახელმწიფოს ვალია შექმნას ჩარჩო და ამ ჩარჩოში მისცეს ინსტიტუტებს არჩევნის საშუალება. არის რამდენიმე მოდელი: ინსტიტუტი, რომელიც სრულად იქნება შერწყმული უნივერსიტეტთან, ან დაარსებული იქნება უნივერსიტეტის მიერ როგორც სსიპი; ინსტიტუტი, რომელიც არ იქნება უნივერსიტეტთან, მაგრამ სპეციფიკურ გამომდიანერე იქნება რომელიმე

დარგობრივ სამინისტროსთან, რომელიც იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი; ინსტიტუტებს ასევე უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, დაუბრუნდნენ მეცნიერებათა აკადემიაში, თუკი ამ ინსტიტუტებს ამის სურვილი აქვთ.

“რ”: და აქვთ ინსტიტუტებს ამის სურვილი? და საურთოდ არსებობს ის სიტუაცია, რომ ეს თვითონ, თავიანთი სურვილით გადაწყვიტონ ინსტიტუტებმა?

ლ.პ.: ფორმალურად არის, მაგრამ რეალურად, საქმე საქმეზე რომ მიღებს – არა. არც ერთ ინსტიტუტს თავისი ქონება დამტკიცებული არ აქვს. ამიტომაც ეტყვიან – თუ გინდა, წადი აკადემიაში, ოღონდ დატოვე ქონება. სად უნდა წავიდეს შენობისა და მოწყობილობის გარეშე? მეცნიერებათა აკადემია კი ამდენ ხალხს სად დაიტევს? ანუ საუბარია იმაზე, რომ ინსტიტუტს უნდა მიეცეს რეალური არჩევანის საშუალება.

“რ”: ვიდრე თქვენ გახდებოდით რექტორი, ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა პროფესიის მხრიდან იყო გაერთიანებული ფაკულტეტების ისევ დაშლა და გაუქმებული კათედრების აღდგენა. თუმცა ეს ჯერ არ კეთდება, თუ ვერ ხერხდება?

ლ.პ.: უნივერსიტეტში დღეს 6 ფაკულტეტია. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტები კათედრები დიდი ხანია აღდგენილია. ეს მოხდა ჩემ რექტორობამდე ვისაც სურვილი აქვს, ამაზე პრობლემა არ არის. აქ სრული თავისუფლებაა. რაც შეეხება ფაკულტეტების დაშლას, ეს საკითხი ძალიან ფაქტი თქმაა. აქ მექანიკური მოქმედება შეცდომა იქნება; სწორედ მექანიკური მოქმედებით მოხდა ფაკულტეტების გაერთიანება, რითაც ამ ფაკულტეტებს ზიანი მიაუნა. მე არ მინდა დაშლით ახალი შეცდომები დავუშვა. ამას წინათ უნივერსიტეტის გაზეთს ვთხოვე, აღნიშნულთან დაკავშირებით გაემართა დისკუსია. აღმოჩნდა, რომ აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა მოსაზრებების გამო ამის წინააღმდეგია. თუ საზოგადოებრივი აზრი ამის შესახებ არ მომწიფდება, საჭირო იქნება “ქირუგიული ჩარევა”. მაგრამ თუ სათანადო ინსტურმენტები და მედიკამენტები აქ აქვს ქირუგს, ოპერაციას როგორ დაიწყებს? ეს ინსტურმენტები და მედიკამენტები რომ გქონდეს, გჭირდება ფული და მივაღები ისევ ბაზურ დაფინანსებას. მე რომ ფაკულტეტი დავშალო, ყველა ფაკულტეტს ხომ თავის ხელმძღვანელობა უნდა გაუწიდეს; ყველას თავისი ბიუჯეტი უნდა გაეზარდოს; პლუს ამას – თითოეულ ახალ ხელმძღვანელს ოთახი ხომ სჭირდება? ანუ უნდა შევამცირო აუდიტორიული ოთახები; აუდიტორიულ ოთახებს თუ შევამცირებ, სტუდენტების რაოდენობაც უნდა შევამცირო; სტუდენტების რაოდენობას თუ შევამცირებ, ბიუჯეტი შემიმცირდება; როგორ გადავწყვიტო ეს საკითხი?

**“რ”:** ანუ ესეც რესურსებთან არის მიბმული, რომელიც, როგორც თქვენ ამბობთ,  
არასაკმარისია და ამ პროცესებს ვერ გაწვდება?

**ლა:** უნივერსიტეტს უნდა მქონდეს ფინანსები, რომ “ქირურგიული ჩარევის”  
შედეგად “განგრენა” არ განვითარდეს. ამისათვის საჭირო რესურსი კი დღეს  
უნივერსიტეტს არ გააჩნია.

მარი ოთარაშვილი